ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3422857

ნომერი: AR1521898

თარიღი : 10.07.2017

გაცემის თარიღი : 31.07.2017

გაცნობის თარიღი : 04.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით კვაჭანტირაძე , N 22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაქარია სოზაშვილი პ/ნ 20001000949
- თელავის რაიონი, ს. ვარდისუბანი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 10 ივლისის AR1521898 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ისნის რაიონში, დავით კვაჭანტირაძის N22–ში არსებულმიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.17.10.001.118 სამსახურის მიერ 2014 წლის 09 ივნისი №1312002 ბრძანებით დამტკიცებულმიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების შეცვლის გამო.

პასუხად განმეორებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან საკადასტრო მონაცემების ცვლილება საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებაში ცვლილებას, დამატებით საჭიროა წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ობიექტის ესკიზი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და გნაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე წარსადგენად.

ამასთან აღნიშნულ ნაკვეთზე გაცემულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ორი ბრძანება 2014 წლის 23 ოქტომბრის N1288, რომლის მიხედვითაც მინიჭებულია კ–2=4.7 და 2015 წლის 03 ნოემბრის N4176 ბრძანებით ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ–2=4.4. ვინაიდან ორივე ბრძანებაში ცვლილების შეტანა არ არის დაშვებული ამავე განაცხადის მოთხოვნის ტექსტში უნდა მიუთითოთ პირველი 2014 წლის 23 ოქტომბრის N1288 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება, ხოლო 2015 წლის 03 ნოემბრის N4176 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონითან მის საფუძველზე გამოცემულიკანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოსდამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციისწარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაშისრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 10 ივლისის AR1521898 განცხადებადარჩება განუხილველი.

ხარვეზის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებას თქვენ გაეცანით 2017 წლის 19 ივლისს, ვინაიდან ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 15 სამუშაო დღიდან თქვენი მხიდან გამოყენებულია 2 სამუშაო დღე, ამ ეტაპზე მოთხოვნილი ინფორმაციის დასაზუსტებლად დარჩენილია 13 სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის სრულად შევსების შესაძლებლობას დარჩენილი 13 სამუშაო დღის ვადაში.

აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 ივლისის №3391503 გადაწყვეტილების შესაბამისად თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.